GASW მაცნე N2

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია
მარტი, 2018

სხმა ბლოგი: “მე სოციალური მუშაკი ვარ”

სოფიო ბაჩილავა
სოციალური მუშაობის მაგისტრი

ამ ბოლო დროს საკმაოდ ბევრ ადამიანთან მომიწია საკუთარ პროფესიაზე საუბარი და აღმოვაჩინე, რომ თანამოსაუბრეთა უმეტესობამ ან საერთოდ არ იცის, რა არის სოციალური მუშაობა, ან არასწორი წარმოდგენა აქვს მასზე. ეს გასაკვირი არც არის, რადგან საქართველოში სოციალური მუშაობა ახალგაზრდა პროფესიად ითვლება და არასწორი შეხედულებებიც შეიძლება ამას მივაწეროთ. თუმცა, ასეა თუ ისე, გადავწყვიტე უკეთ გაგაცნოთ ჩემი პროფესია. ამ მიზნით დაწერილ პირველ პოსტს კი სოციალური მუშაობის შესახებ გავრცელებულ იმ მითებზე ვწერ, რომლებსაც ასე ხშირად ვხვდებით საზოგადოებაში.

სიახლე!

თებერვლიდან საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ვებ-გვერდზე ყოველთვიურად შეგიძლიათ იხილოთ სოციალური მუშაკების ახალ-ახალი ბლოგები!
ბმულზე გადასვლით გაეცნობით
მარტის თვის ბლოგს ნელი აკობიას ავტორობით
პროფესიულ გადაწვასთან დაკავშირებით:
http://gasw.org/index.php/ka/events/gasw-blog/425-2018-03-06-12-31-07

• თქვენ ის არ ხართ, ქულებს რომ წერთ?

სოციალური მუშაკები უკვე მივეჩვიეთ და გვეღიმება (ხან სიმწრითაც ;)), როცა ადამიანებს სოციალურ აგენტებში ვერევით.
სოციალური აგენტები ოჯახებში მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად დადიან და გარკვეულ ქულებს უწერენ. სოციალური მუშაობა, სოციალური აგენტობისგან განსხვავებით არის პროფესია, რომელსაც ადამიანები უნივერსიტეტში ეუფლებიან და ხარისხსაც იცავენ. სოციალური აგენტი, საკუთარ, ძალიან მნიშვნელოვან, ფუნქციას ასრულებს: ის წინასწარ შექმნილი, საერთო სქემით ამოწმებს ოჯახებს და მისგან მოპოვებულ ინფორმაციას კომპიუტერული პროგრამა აჯამებს. რაც შეეხება სოციალურ მუშაობას, მისი ერთ-ერთი მიმართულება ნამდვილად არის ოჯახთან მუშაობა, თუმცა, ქულებს სულაც არ ვწერთ და ამ სისტემასთან საერთო არაფერი გვაქვს... სოციალური მუშაკები ვცდილობთ ოჯახს სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესებაში და გაძლიერებაში დავეხმაროთ. ამისთვის სხვადასხვა მიდგომას ვიყენებთ, რომელზეც სხვა დროს მოგითხრობთ. შევთანხმდეთ, სოციალური მუშაკი იმდენადვეა სოციალური აგენტი, რამდენადაც წნევის საზომი აპარატია ყავის აპარატი, მხოლოდ იმიტომ რომ მათ ერთი საერთო სიტყვა აქვთ.

• სოციალურ მუშაკები მხოლოდ ბავშვებთან მუშაობენ

არა, სოციალურ მუშაობას საკმაოდ მრავალფეროვანი სამიზნე ჯგუფები ჰყავს. ბავშვებთან მუშაობა ჩვენი პროფესიის მხოლოდ ერთ-ერთი მიმართულებაა, ისევე, როგორც, მაგალითად, ადვოკატობა სოციალური ცვლილებებისთვის.

• სოციალური მუშაკები მხოლოდ გაჭირვებულ ადამიანებს ეხმარებიან

კიდევ ერთი გავრცელებული აზრით, სოციალური მუშაკები მხოლოდ გაჭირვებულ ადამიანებს ეხმარებიან, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. სოციალური მუშაობის მისიაა, ხელი შეუწყოს სოციალურ ცვლილებებს, ადამიანთა გაძლიერებას და მათ სრულფასოვან სოციალურ ფუნქციონირებას, გააუმჯობესოს კეთილდღეობის ხარისხი და ადამიანთა თუ სექტორთშორისი ურთიერთობები. სოციალური მუშაობა საკუთარი მისიის განხორციელებისას ხშირად მუშაობს/უნდა მუშაობდეს საზოგადოების როგორც გაჭირვებულ, ისე შეძლებულ ფენებთან, რომლებიც რაიმე ნიშნით ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე არიან მოწყვლადნი.

• სოციალური მუშაკები არიან უგულო ადამიანები და მათ ბავშვები ოჯახებიდან გამოჰყავთ

სოციალური მუშაობა ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანური პროფესიაა არსებულ პროფესიებს შორის და ჩვენ - სოციალური მუშაკები - ამაყები ვართ, რომ ვემსახურებით ამ პროფესიას. მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ მუშაკს ნამდვილად შეუძლია გადაუდებელ შემთხვევაში ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა (რეგიონული საბჭოს თანხმობით), ჩვენი მთავარი ამოცანა არა ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა, არამედ ოჯახის ჰარმონიული ფუნქციონირების ხელშეწყობაა. ყველა ვთანხმდებით, რომ ბავშვები მშვიდ, ძალადობისგან თავისუფალ და სიყვარულით აღსავსე გარემოში უნდა იზრდებოდნენ, სადაც მათზე ზრუნავენ. ასეთ ადგილად საუკეთესო შემთხვევაში ბავშვისთვის ოჯახი მოაზრება. თითოეულმა ადამიანმა და, შესაბამისად, სოციალურმა მუშაკებმაც, ვიცით, რომ სამყაროში არ არსებობს იდეალური ოჯახი, ვიცით, რომ ყველა ოჯახში არსებობს პრობლემები. რა თქმა უნდა, ყოველდღიური პრობლემები ბავშვის სახლიდან გამოყვანის მიზეზი არ ხდება. ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა არის უკანასკნელი ზომა, რომლის მიღებაც მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ყველა სხვა გზა ამოწურულია, როდესაც ბავშვის სიცოცხლეს თუ განვითარებას ემუქრება საფრთხე, როცა ბავშვი ძალადობის მსხვერპლია და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არსებულ სიტუაციას მისი გამორიდება. ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა არის მისივე ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე და ამავე დროს არ არის საბოლოო შედეგი. სოციალური მუშაკი ბავშვის ოჯახიდან გამოყვანის წუთიდან აგრძელებს მუშაობას ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან, იქ არსებული პრობლემის დასაძლევად და ბავშვის სახლში დასაბრუნებლად.

• მაინც ვინ არიან სოციალური მუშაკები?

ადამიანებს, რომელთა პროფესიაც სოციალური მუშაობაა, გვწამს, რომ საჭირო ძალისხმევის შედეგად ადამიანებს პრობლემების დაძლევა შეუძლიათ. სოციალური მუშაკები ვიბრძვით ინდივიდის თუ საზოგადოების გაძლიერებისთვის. სხვადასხვა თეორიაზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდებით, ხელს ვუწყობთ სასიკეთო ცვლილებებს ინდივიდის, ჯგუფის თუ თემის დონეზე. სოციალურ მუშაკებს საკუთარი პროფესიული ცოდნის გამოყენებით შეგვიძლია შევცვალოთ და საზოგადოების საკეთილდღეოდ გავაუმჯობესოთ არსებული სისტემები თუ პოლიტიკა.

სოციალური მუშაკების აქცი “ჩვენ შესახებ ჩვენთან ერთად“

ასოციაციამ პროფესიული თემის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, 21 დეკემბერს, სოციალურ მუშაკთა პირველი პროფესიული აქცია გამართა მთავრობის კანცელარიასთან, სახელწოდებით „ჩვენ შესახებ ჩვენთან ერთად“. აქციის მიზანი იყო საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონის პროექტის შემუშავების არათანამშრომლობითი პროცესის და სახელმწიფო უწყებების მხრიდან 28 სექტემბერს გამოქვეყნებული პეტიციის უგულებელყოფის მიმართ პროტესტის დაფიქსირება.

“სოციალური მუშაობის ხსნის“ სამუშაო ჯგუფი

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC), ასოციაციაში არსებული “სოციალური მუშაობის ხსნის“ სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, გამართეს მრგვალი მაგიდის შეხვედრა 2017 წლის 11 ოქტომბერს.

შეხვედრაზე განხილულ იქნა სოციალური მუშაობის კუთხით საქართველოში არსებული გამოწვევები, სოციალურ მუშაკთა შრომით პირობებთან დაკავშირებული პრობლემები და პროფესიის განვითარების ხედვა. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციას მომზადებული ჰქონდა “სოციალური მუშაობის პროფესიული რეგულირების კონცეფცია” (დოკუმენტის სანახავად დააჭირეთ აქ).

სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებულ სოციალურ მუშაკთა შრომითი გარემო და პირობები მნიშვნელოვნად აბრკოლებს ეფექტიანი, დროული და ხარისხიანი სოციალური მუშაობის განხორციელებას და აკნინებს სოციალური მუშაობის, როგორც სოციალური პოლიტიკის აღსრულებისათვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის, როლსა და ფუნქციას. აღნიშნულს ასევე ადასტურებს ასოციაციის ბაზაზე მოქმედი 2017 წელს EMC მიერ ჩატარებული კვლევა “სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა შრომითი პირობები და გამოწვევები“ (დოკუმენტის სანახავად დააჭირეთ აქ).

შეხვედრაზე ასოციაციამ წარადგინა პეტიციაც - “მოვითხოვთ, სოციალურ მუშაკებს მიეცეთ პროფესიული ვალდებულებების აღსრულების საშუალება”.

შეხვედრას ესწრებოდნენ სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო უწყებების, საქართველოს პარლამენტისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრის მონაწილეებმა ძირითადად გაიზიარეს როგორც არსებული პრობლემების აღმოფხვრის აუცილებლობა, ასევე პროფესიის განვითარების ხედვა, თუმცა ეს ის ეტაპია, როდესაც მხარდაჭერა საჭიროა საქმეში გამოიხატოს.

პროფესიულ თემს ესაჭიროება სოციალური მუშაობის სფეროს წარმომადგენლების და სხვა დაინტერესებული პირების მხარდაჭერა.

ასოციაციას 2018 წლიდან რეგიონში წარმომადგენლები ყავს

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ დეკემბერში შეარჩია ასოციაციის რეგიონული წარმომადგენლები. შერჩევის პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობდა: რეგიონების მიხედვით ასოციაციის წევრები ასახელებდნენ წევრობის კანდიდატს - საკუთარ თავს ან სხვა კანდიდატს. რამდენიმე კანდიდატის არსებობის შემთხვევაში წევრები აძლევდნენ ხმას და ირჩევდნენ ასოციაციის რეგიონულ წარმომადგენელს, რომელიც მოხალისეობრივად დაეხმარება ასოციაციას რეგიონში წევრებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებასა და პროფესიის განვითარების ხელშეწყობაში.

მოხარულები ვართ, გაგაცნოთ ასოციაციის რეგიონული წარმომადგენლები:

1. აჭარა: ნინო ცეცხლაძე
2. გურია: მაია ჯაში
3. იმერეთი: მზევინარ ღაჭავა
4. კახეთი: ნინო ელიოზიშვილი
5. მცხეთა-მთიანეთი: თამარ მაისურაძე
6. სამეგრელო-ზემო სვანეთი: ცაბუნია ვართაგავა
7. სამცხე-ჯავახეთი: თეა ქურდაძე
8. ქვემო ქართლი: ქეთევან სამაშვილი
9. შიდა ქართლი: ბადრი ციქუბაძე

2018 წლის 3 თებერვალს, თბილისში, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ოფისში, გაიმართა ასოციაციის რეგიონულ წარმომადგენლებთან პირველი შეხვედრა. შეხვედრაზე მიღებულ ინფორმაციას წარმომადგენლები გააცნობენ ასოციაციის წევრებს თავიანთ რეგიონებში.

კანონის პროექტი “სოციალური მუშაობის შესახებ“

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა ინიცირება გაუწია სოციალური მუშაობის შესახებ კანონის შემუშავებას. “სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონის პროექტის პირველი სამუშაო ვერსია პრეზენტაციის სახით გააცნეს პროფესიული სფეროს წარმომადგენლებს 2017წლის 19 დეკემბერს და აღნიშნული კანონის პროექტის სამუშაო ვერსია (დოკუმენტის სანახავად დააჭირეთ აქ) მალევე გამოქვეყნდა კომენტარებისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ კანონის პროექტის შემუშავების პროცესი არათანამშრომლობითი იყო და პროფესიული თემის წარმომადგენლები არ იყვნენ ამ პროცესში ჩართული, პირველი სამუშაო შეხვედრის შემდგომ გაიმართა სოციალურ მუშაკთა ისტორიაში პირველი პროფესიული აქცია “ჩვენ შესახებ ჩვენთან ერთად“, რომლის ფარგლებშიც სოციალური მუშაკები მოითხოვდნენ სამუშაო პროცესისი ფორმალიზებასა და თანამშრომლობას კანონის პროექტის შემუშავების პროცესში. ასოციაციამ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად შეიმუშავა კომენტარები კანონის პროექტზე. (დოკუმენტის სანახავად დააჭირეთ აქ). აღნიშნულ საკითხზე მეორე საკომიტეტო შეხვედრა 2018 წლის 12 იანვარს გაიმართა. კომენტარების შემდგომ კანონპროექტის განახლებული სამუშაო ვერსია 14 მარტს გაეგზავნათ დაინტერესებულ პირებს, თუმცა ჯერ არ გამოქვეყნებულა საჯაროდ. აღნიშნული საკითხზე შემდგომი საკომიტეტო შეხვედრა მარტის თვის ბოლოს იგეგმება.

პროექტი: “სოციალური მუშაობის და მულტი დისციპლინური გუნდის მუშაობის კონცეპტის განვითარება ლბტი სათემო ორგანიზაციაში”

2017 წლის სექტემბერ-დეკემბერში საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფს (WISG) გაუწია მეთოდოლოგიური კონსულტირება. პროექტის ფარგლებში ასოციაციას პირველად მიეცა შესაძლებლობა ემუშავა ლბტი თემის საკითხებზე და ორგანიზაციისათვის მიეწოდებინა შემდგომი მომსახურებები:

- ასოციაციამ შეიმუშავა სოციალური მომსახურების და მულტიდისციპლინური გუნდის კონცეფცია ლბტი თემთან მუშაობის მიმართულებით;
- შეიმუშავა სოციალური მუშაკის სამუშაო აღწერილობა;
- შეიმუშავა სოციალური მუშაკისა და მულტიდისციპლინური გუნდის სამუშაო ფორმები და გზამკვლევები;
- ხელი შეეწყო ორგანიზაციაში მულტიდისციპლინური ჯგუფის მუშაობის სტრუქტურის ჩამოყალიბებას;
- ორგანიზაციის თანამშრომლებისთვის ასოციაციამ ჩაატარა ტრენინგები სხვადასხვა თემაზე, როგორებიცაა: სოციალური მუშაკის როლი ლბტი თემთან მუშაობისას, ეთიკის სტანდარტები, სოციალური ადვოკატობა, შეფასების ძირითადი პრინციპები, ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება, სოციალურ-კულტურული შეფასება, ბენეფიციარებთან მუშაობა სხვადასხვა დონეზე (ინდივიდები, ოჯახი, ჯგუფი, თემი), ინდივიდუალური განვითარების გეგმა, მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობის პროცესი და კოორდინაციის პროცედურები, მოტივაციური ინტერვიუირება;
- შეიმუშავა სოციალური მუშაობის სუპერვიზიის ფორმა და განახორციელა სუპერვიზიის 8 სესია.

განხორციელებული სამუშაოების შედეგად ორგანიზაციაში „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ ფუნქციონირებს მულტიდისციპლინური გუნდი, შემთხვევის მართვას და მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობას კი კოორდინაციას უწევს სოციალური მუშაკი ზემოთ ჩამოთვლილი ინსტრუმენტების გამოყენებით.

ტრენინგი განათლების სისტემის წარმომადგენელთათვის ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ „ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიწვევით ჩაატარა ორდღიანი ტრენინგი სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების წარმომადგენელთათვის. სულ 45 მონაწილე გადამზადდა შემდეგ საკითხებში:

•ბავშვის მიმართ ძალადობა, ფორმები, იდენტიფიკაცია,

- სკოლებში არსებული რეალობა ძალადობის კუთხით,
- ძალადობის პრევენციის მექანიზმები,
- ბულინგი და მასთან ბრძოლის გზები,
- ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები,
- სკოლის შიდა სამოქმედო ინსტრუქცია და მონიტორინგი.

ტრენინგის მიზანი იყო მონაწილეებისთვის გაეცნო რეფერირების პროცედურები და დაერღვია მონაწილეთა შესაძლო სტერეოტიპები. პრე და პოსტ ტესტების ანალიზმა აჩვენა, რომ განათლების სისტემის წარმომადგენელთა ცოდნამ რეფერირების პროცედურებთან დაკავშირებით საგრძნობლად იმატა. ასევე მონაწილეთა მხრიდან ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული სტერეოტიპებიც უმეტესწილად ეჭქვეშ დადგა. ტრენინგის შეჯამებისას მონაწილეებმა აღნიშნეს სკოლის ყველა პედაგოგისა თუ მშობლებისთვის მსგავსი გადამზადების კურსების საჭიროება.



ასოციაციის წევრებისთვის პროფესორი მარკ დოელის სემინარი ჩატარდა

13 თებერვალს მარკ დოელმა შეხვედრა გამართა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ოფისში და წარადგინა თავისი ერთ-ერთი ბოლო წიგნი სახელწოდებით „სოციალური მუშაობა 42 და მეტ ნივთში/ Social Work in 42 Objects and more“, რომელიც 2017 წელს დაიბეჭდა. ავტორი კოლეგებს შთააგონებს პროფესიის რაიმე ნივთებთან დაკავშრებას ასოციაციურად, წარმოსახვით, შეგრძნებით. წიგნში არსებული ხედვის წარდგენა ძალიან შთამბეჭდავი აღმოჩნდა ღონისძიებაზე დამსწრე ასოციაციის წევრებისთვის. დაინტერესებულ პირებს შეუძლია არსებული ნივთები ასევე იხილონ მარკ დოელის ვებ გვერდზე: https://socialworkin40objects.com/. სადაც განთავსებულია საქართველოდან წარდგენილი ნივთებიც შესაბამისი აღწერით.

სოციალური მუშაკთა კლუბი 2016 წლის დეკემბრიდან ფუნქციონირებს. 2017-2018 წლის განმავლობაში ჩატარდა სულ 14 შეხვედრა შემდეგ თემებზე:

1. მოტივაციური სოციალური მუშაობა,
2. სკოლის სოციალური მუშაობა,
3. მოტივაციური ინტერვიუს ტექნიკები,
4. იაპონური სოციალური მუშაობის თავისებურებები,
5. სიყრუე როგორც კულტურა, შეზღუდული შესაძლებლობები - კულტურული და რელიგიური ხედვა,
6. ოჯახის მხარდაჭერის მოდელი,
7. ონლაინ აზარტული თამაშები საქართველოში და მოზარდების წვდომა მათზე,
8. ლგბტ ჯგუფის საჭიროებების ცოდნა და გათვალისწინება, სოციალური მუშაობის ეფექტიანი პრაქტიკის განხორციელების საწინდარია,
9. სოციალური მუშაობა პრობაციის სისტემაში,
10. ეთიკური საკითხების მზარდი საჭიროება გადაწყვეტილების მიღებისას სოციალური მუშაობის პრაქტიკაში და სოციალური მუშაობის ეთიკა და ღირებულებები,

11. ტრავმის მანიფესტაცია მშობლებში და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე,
12. სოციალური მუშაობის როლი ბულინგის დაძლევაში,
13. სოციალური მუშაობის განათლების მომავალი.
14. კვლევა: მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები ბავშვები და განათლება

აღნიშნული თემები კლუბის ფარგლებში მომზადდა, როგორც კლუბის ადმინისტრაციის წარმომადგენლების: თეო გვალიას, სალომე დანელიას, რეზიკო ხვედელიძის, ნათია მაჭარაშვილის, ქეთი გიგინეიშვილის, ასევე ჩვენი კოლეგების: ნინო ნუცუბიძის, ნონა ციხელაშვილის, სოფიო ბაჩილავას, ეკა ჩოფიკაშვილის, ქეთევან ხუციშვილის, სოფიკო მუშკუდიანის, ანი სუბელიანის, ირმა ბებერაშვილის და მარიმ სულამანიძის მიერ. 2017წლის 26 თებერვალს გაიმართა კლუბის წლის შემაჯამებელი შეხვედრა და წლის განმავლობაში მომხსენებლებს გადაეცათ მადლობის სიგელები. კლუბი 2018 წელსაც გააგრძელებს აქტიურ მუშაობას და კოლეგებს მრავალ საინტერესო შეხვედრას პირდება.

ასოციაციის წევრებისთვის კიმ სტრომ-გოტფრიდის სემინარი „სუპერვიზიის ეთიკა“ ჩატარდა

21 თებერვალს სოციალური მუშაობის დოქტორმა, ქ-ნ კიმ სტრომ-გოტფრიდმა სემინარზე წარადგინა პროფესიული სუპერვიზიის მნიშვნელობა პრაქტიკული საქმიანობაში და ისაუბრა იმ ეთიკურ გამოწვევებზე რომელსაც სუპერვიზიის პროცესში შეიძლება წავაწყდეთ. შეხვედრა დასრულდა საინტერესო დისკუსიით და საქართველოსა და ამერიკის საინტერესო მაგალითების განხილვით.

პეტიციის გამოქვეყნების შემდგომ განვითარებული მოვლენები

„მოვითხოვთ, სოციალურ მუშაკებს მიეცეთ პროფესიული ვალდებულებების აღსრულების საშუალება“

28 სექტემბერს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ გამოაქვეყნა პეტიცია, რომლის ტექსტიც შეგიძლიათ, იხილოთ მითითებულ ბმულზე: https://manifest.ge/main/item/1744

პეტიციას ხელი მოაწერა პროფესიული თემის უმრავლესობამ, მათ შორის სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურმა მუშაკებმაც. 13 ოქტომბერს პეტიცია გადაეგზავნა შემდეგ უწყებებს:

1. *საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორს,*
2. *პარლამენტის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის კომიტეტის თავჯდომარეს,*
3. *პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავჯდომარეს,*
4. *მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს ხელმძღვანელს.*

მიუხედავად მრავალი უწყების ჩართვისა, არცერთი მათგანის მხრიდან ქმედითი ნაბიჯი არ გადადგმულა.

ასევე პერსონალურად მივმართეთ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს და ვთხოვეთ უწყებების მოწვევა და სამუშაო შეხვედრის ორგანიზება, თუმცა შეხვედრის ორგანიზებაზე სიტყვიერი უარი მივიღეთ.

პროექტი: „შშმ ახალგაზრდების სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა საქართველოში/ სკოლის გაძლიერების ხელშეწყობა“

პროექტი 2015–2017 წლების განმავლობაში მიმდინარეობდა და ძირითად მიზნად ისახავდა წვლილის შეტანას შშმ ახალგაზრდების ცხოვრების ხარისხისა და სოციალური ინკლუზიის დონის გაუმჯობესებაში, საქართველოში ინკლუზიური განათლებისა და შრომის ბაზარზე დასაქმების ხელშეწყობის გზით.

პროექტის ფარგლებში, 2015–2017 წლებში, ასოციაციამ განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- ჩაატარა კვლევა ინკლუზიური განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებზე
- წვლილი შეიტანა ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის გაძლიერებაში შშმ პირებთან და მათთან დაკავშირებულ თემებზე უფრო ეფექტიანად მუშაობის მიმართულებით. ასევე მხარი დაუჭირა ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდის მცირე გრანტების პროგრამას გრანტიორთა შესაძლებლობების გაძლიერებით შშმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე
- ჩაატარა ტრენინგები სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსი სოციალური მუშაკებისა და მეურვეობისა და მზრუნველობის საბჭოების წარმომადგენლებისთვის შშმ პირებთან მუშაობის საკითხებზე
- განახორციელა სკოლის სოციალური მუშაობის საპილოტე პროექტი თბილისის 2 საჯარო სკოლაში.

სკოლის სოციალური მუშაობის საპილოტე პროექტის მთავარი მიზანი იყო სამიზნე მოსწავლეების (შშმ და სსსმ მოსწავლეების) სკოლაში ინტეგრაციის ხარისხის გაზრდა, მათი და მათი ოჯახების ფსიქო–სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება და საპილოტე სკოლებში პოზიტიური გარემოს შექმნის ხელშეწყობა. ამ მიმართულების ფარგლებში 2017 წელს ჩატარდა სკოლის გაძლიერების ხელშემწყობი ფაქტორების საწყისი და საბოლოო კვლევები (რაოდენობრივი და მონაწილეობითი (თვისებრივი) მეთოდების გამოყენებით), რომლებიც ზომავდა სკოლებში ჩარევის დაწყებისას და დასრულებისას არსებულ მდგომარეობას. კვლევამ აჩვენა, რომ სკოლის სოციალური მუშაკების ინტერვენციები ეფექტურია სკოლაში უფრო პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნის თვალსაზრისით, კერძოდ, შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება საკუთარ უფლებებზე, მოსწავლეთათვის სოციალური უნარების სწავლება, საკლასო კლიმატის გაუმჯობესება, მასწავლებლების მხარდაჭერა ქცევისა და კლასის მართვასა და სირთულეების ადრეულ იდენტიფიცირებასა და რეაგირებაში, ფსიქო–სოციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისა და მათი ოჯახების სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესება, სსსმ და შშმ მოსწავლეების სასკოლო ცხოვრებაში მეტად ჩართვა და სკოლაში მშობელთა ჩართულობის გაზრდა.

პროექტი ხორციელდება ძირითად პარტნიორთან, ჩეხურ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციასთან, Peeple in Need-თან ერთად. პროექტის დამფინანსებელია ჩეხეთის განვითარების სააგენტო, ძირითადი პარტნიორები კი არიან: ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სოციალური მომსახურების სააგენტო.

თბილისში ჩატარდა სამი ერთდღიანი ტრენინგი ასოციაციის წევრი პრაქტიკოსი სოციალური მუშაკებისთვის

2018 წლის იანვარ - თებერვალში ასოციაციამ პრაქტიკოსი წევრი სოციალური მუშაკებისათვის ჩაატარა სამი ერთდღიანი ტრენინგი ქ. თბილისში. ტრენინგების თემატიკა იყო: 1. სოციალური მუშაობა ემოციების მართვის სირთულის მქონე პირებთან; 2. მოტივაციური სოციალური მუშაობა; 3. ეფექტური კომუნიკაცია ეფექტური კონსულტირებისთვის. ტრენინგს ესწრებოდნენ სხვადასხვა გამოცდილების მქონე სოციალური მუშაკები. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მათი პროფესიული განვითარებისთვის არსებული თემები ძალიან მნიშვნელოვანი იყო და სამომავლოდ პრაქტიკულ საქმიანობაში აქტიურად გამოიყენებენ მიღებულ ცოდნას.

პროექტი: "სოციალური კომპონენტის გაძლიერება ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის მომსახურებაში"

სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ მეთოდოლოგიური კონსულტირება გაუწია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს. თანამშრომლობის მიზანი იყო სოციალური მუშაობის მომსახურების ეფექტიანობის გაზრდა ძალადობის მსხვერპლთათვის, რაც გულისხმობდა შემდეგს:

სოციალური მუშაობის მომსახურების მიწოდების ფორმების შემუშავებას მომსახურების მიწოდების ყოველი ეტაპისთვის; ეფექტიანი სოციალური მუშაობის მომსახურების პროცესის უზრუნველყოფას; სოციალური მუშაობის მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფას და მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობის ეფექტიანობის უზრუნველყოფას.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ასოციაციამ დაგეგმა და განახორციელა რიგი აქტივობები, როგორებიცაა:

- შეიმუშავა სოციალური მუშაობისა და მულტიდისციპლინარული გუნდის სამუშაო ფორმები და მათი გზამკვლევები;
- განავითარა სოციალური მუშაობის, მულტიდისციპლინური გუნდის და სოციალური მომსახურების მონიტორინგის კონცეფციები;
- შეიმუშავა სოციალური მუშაობის სამუშაო აღწერილობა;
- განავითარა სოციალური მუშაობის სუპერვიზიის კონცეფცია და სუპერვიზიის ფორმა;
- შეიმუშავა მომსახურების მიწოდებისა და მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობის გზამკვლევები;
- შეიმუშავა სოციალური მუშაკების სამი სარეაბილიტაციო მოდული ძალადობის მსხვერპლთათვის და აღნიშნულ მოდულებში გადაამზადა სოციალური მუშაკები;
- გადაამზადა მულტიდისციპლინური გუნდი კონცეფციის და მუშაობის პროცესის წარმატებულად წარმართვაში;
- განახორციელა სოციალური მუშაკების სუპერვიზია ორ კომპონენტად: სარეაბილიტაციო მოდულების სიმულაციები, ჯგუფური სუპერვიზია.

განხორციელებული აქტივობების შედეგად ფონდის შიდა ბრძანებით 2018 წლის იანვარ-თებერვალში შეიცვალა კრიზისული ცენტრისა და თავშესაფრების სოციალური მუშაკის სამუშაო აღწერილობა, დამტკიცდა ახალი სამუშაო ფორმები და მათი გზამკვლევები, შინაგანაწესის ცვლილებით დეტალურად განისაზღვრა მომსახურების მიწოდების პროცესი და ვადები.

პროექტი განხორციელდა 2017 წლის ნოემბერ-დეკემბერში სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისა" და საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თანამშრომლობით, ევროკავშირისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით.

პროექტი: "ეფექტური მინდობით აღზრდის განვითარება ქვემო ქართლის რეგიონში"

2017 წლის მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ მაკლეინის ასოციაცია ბავშვებთან ერთად საქართველოს სამ რაიონში: რუსთავში, გარდაბანსა და მარნეულში განახორციელა პროექტი, რომელიც ეხებოდა მინდობით აღზრდის მომსახურების განვითარებას. პროექტის მიზანი იყო: მინდობით აღზრდის მომსახურების გაძლიერება, და ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერება/მიმღები ოჯახებიდან ბავშვების დაბრუნების პროცესის მხარდაჭერა.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდგომი აქტივობები:

- შეიქმნა მიმღებ მშობელთა მოზიდვის კონცეფცია, რომელიც გავუზიარეთ სოციალური მომსახურების სააგენტოს;
- გამოიცა სამენოვანი ბროშურა ქართულ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე;
- მიმღები მშობლების მოსაზიდად გაიმართა შეხვედრები რუსთავში, გარდაბანსა და მარნეულში - სულ 62 შეხვედრა;
- პროექტის განმავლობაში მინდობით აღმზრდელთა რიცხვი რეგიონში 6 ერთეულით გაიზარდა;
- ჩატარდა ბიოლოგიური ოჯახების საჭიროებების კვლევა და განხორციელდა მათი მხარდაჭერა მინდობით აღზრდის მომსახურებიდან ბავშვების გასვლის პროცესში. გაძლიერების გეგმის განხორციელებისთვის შერჩეულ 2 ოჯახს გაეწია შემდეგი მომსახურებები: ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერა, ადვოკატირება მომსახურების მიმწოდებელ უწყებებთან, სამართლებრივი მხარდაჭერა და სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციის ხელშეწყობით ბავშვებს მიეწოდათ მათთვის საჭირო ნივთები.
- ჩატარდა ერთდღიანი მედია სემინარი ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებისთვის;
- მომზადდა სიუჟეტი და სატელევიზიო გადაცემა;
- დაარსდა ქვემო ქართლის მინდობით აღმზრდელთა კლუბი, რომელიც დღესაც აგრძელებს ფუნქციონირებას საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციისა და ქ. რუსთავის მერიის ქალთა ოთახის ტექნიკური მხარდაჭერით;
- მიმღებ მშობლებს ჩაუტარდათ ტრენინგები ბავშვთა მიმართ ძალადობისა და მოტივაციური ინტერვიუს საკითხებზე;
- შეიქმნა მინდობით აღმზრდელთა პროფესიული ზედამხედველობის კონცეფცია და შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:
  1. *მინდობით აღმზრდელების მოძიების პროცესში ფართო მასშტაბიანი და გრძელვადიანი კამპანიის წარმოება,*
  2. *მედიაში თემის აქტუალიზაცია,*
  3. *ოჯახების გაძლიერების მიმართულებით მუშაობა და ბავშვთა სახელმწიფო ზრუნვის სისტემის დატოვების პროცესში მათი მხარდაჭერა,*
  4. *მინდობით აღმზრდელთა გაძლიერების მიმართულებით პროფესიული ზედამხედველობის კომპონენტის დანერგვა და გაძლიერება.*

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წევრ სოციალურ მუშაკებს მაიორი ლესლი ჩენდლერი შეხვდა

26 თებერვალს ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით ამერიკის საელჩოში გაიმართა შეხვედრა მაიორ ლესლი ჩენდლერთან. შეხვედრაზე მაიორმა გაგვიზიარა თავისი ამერიკული გამოცდილება ვეტერანების, სამხედროებისა და მათი ოჯახების მხარდამჭერი მომსახურებების შესახებ. შეხვედრაზე მაიორმა, ასევე ისაუბრა საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე და მის თანამშრომლობაზე თავდაცვის სამინისტროსთან, სადაც ვითარდება მხარდამჭერი მომსახურებები.

სემინარი: ორაზროვანი დანაკარგი და მისი გავლენა ადამიანის ფუნქციონირებაზე

ასოციაციის მოწვევით, წითელი ჯვარის წარმომადგენლებმა გაგვაცნეს, თუ რას გულისხმობს ორაზროვანი დანაკარგი და რამდენად მნიშვნელოვანია, რომ სპეციალისტები, კერძოდ, სოციალური მუშაკები, რომლებიც მუშაობენ ინდივიდებთან ან ოჯახებთან ორაზროვანი დანაკარგით, კარგად იაზრებდნენ იმ ფსიქო-სოციალურ სირთულეებს, რაც თან ახლავს ორაზროვან დანაკარგს და ფლობდნენ სულ მცირე ბაზისურ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იმისათვის, რომ სათანადოდ გააძლიერონ ბენეფიციარი ორაზროვან დანაკარგთან გასამკლავებლად და შესთავაზონ ყველა საჭირო მომსახურება.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია
www.gasw.org

წევრებთან საკონტაქტო ელ. ფოსტა:
gasw@gasw.org; gaswmembers@gasw.org